პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 57 (9833) | სამშაბათი, 9 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული საყოველთაო-სახალხო ამოცანა ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის შესახებ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან, მიღებული 1954 წლის 2 მარტს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

ყველაზე საარსებო, საყოველთაო-სახალხო ამოცანა

გუშინ „პრავდაში" გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართული პლენუმის შესახებ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ" თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიაში.

უკანასკნელ ნახევარ წელიწადში პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ღონისძიებათა მთელი სისტემა და წარმატებით ახორციელებენ მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში და მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ გადაწყვეტილებებში მოცემული იყო საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების, პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების გაშლილი პროგრამა.

ამჟამად პარტია კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს აიარაღებს მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამით, მარცვლეული მეურნეობისა, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს შეადგენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა თანამედროვე პირობებში ყველაზე არსებითი საყოველთაო-სახალხო ამოცანა — სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე უახლოეს ორ-სამ წელიწადში მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სახალხო მოხმარების საქონელზე და უზრუნველყოფილ იქნას მსუბუქი და კვების მრეწველობა ნედლეულით.

ხელმძღვანელობენ რა პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიულნი და საბჭოთა ორგანოებმა გასულ ხანში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იმ აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რომლებიც შესაძლებელს ხდიან გადაიჭრას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის ამოცანა. კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა უკეთ, ვიდრე წინა წლებში, შეასრულეს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გაადიდა გლეხთა შემოსავალი. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი გასულ წელს გადადდა 13 მილიარდი მანეთით და მეტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კადრებს, უწინარეს ყოვლისა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კადრებს, როგორც გადამწყვეტ ძალას სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ მტს-ების შტატებში მუდმივ მუშებად ჩაირიცხა 1.250 ათასამდე ტრაქტორისტი, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირი, რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მემანქანე და სხვა მუშაკი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში უკანასკნელი თვეების მანძილზე გაიგზავნა 100 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის. მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან მტს-ებში ჩავიდა 23 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი.

წარმატებით ხორციელდება მტს-ების მატერიალურ-საწარმოო ბაზის გაძლიერების პროგრამა.

დიდი ლენინი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ჩვენს ქვეყანას ექნებოდა ასი ათასი ტრაქტორი. ახლა ჩვენს ქვეყანას მილიონზე მეტი ტრაქტორი აქვს. ამით გამოვლინდა დიდი ძალა სოციალისტური ინდუსტრიისა და უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობისა, რომელიც იყო და არის ჩვენი სამშვიდობო ეკონომიკის აყვავების საფუძველი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველი.

აღნიშნა რა გაწეული მუშაობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამასთან ერთად მიგვითითა, რომ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობას სოფლის მეურნეობის საკითხებზე სექტემბრის პლენუმის დადგენილებისა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. მთელ რიგ ოლქებში დღემდე მთლიანად შერჩეული არ არის მუშები მტს-ების შტატებში, სწორად არ არის განაწილებული სპეციალისტთა კადრები, — ამის შედეგად ბევრ ჩამორჩენილ, ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობას სპეციალისტები არა ჰყავს. მხოლოდ რამდენიმე პარტიული ორგანიზაცია შეუდგა კოლმეურნეობათა განმტკიცებას გამოცდილი, საქმის მცოდნე თავმჯდომარეებით, რომლებსაც უნარი შესწევთ სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მასებს და წაიყვანონ ისინი საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობის გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელები და მთელი რიგი ქარხნების დირექტორები დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დარგში და ამ საკითხში არ იჩენენ საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას.

დღემდე პარტიულ ორგანიზაციებს არ აღმოუფხვრიათ გაუპროვნება სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმის შემდეგ განვლილი ექვსი თვე დიდი ვადა როდია. მაგრამ ამ მოკლე პერიოდშიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზული მუშაობა გასწია. ახლა ამოცანა ის არის, რომ, მიღწეულზე დაყრდნობით, გავაკეთოთ უდიდესი ნახტომი წინ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისა და უწინარეს ყოვლისა მარცვლეული მეურნეობის განვითარების დარგში. პარტია ამისათვის მოუწოდებს მთელ საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ" განსაზღვრულია ამოცანები და დასახულია გამარჯვების მოპოვების გზები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან უბანზე — მარცვლეულის მეურნეობაში.

„იმ მიზნით, რომ განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული საყოველთაო-სახალხო ამოცანა ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის შესახებ, — ნათქვამია პლენუმის გადაწყვეტილებაში, — განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, შემდგომ განვითარებას".

მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში წარმატებებზე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის შემდგომი აღმავლობა, მოსახლეობისა და მთელი სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მიუხედავად ამისა, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაშია აღნიშნული, მარცვლეულის წარმოების ამჟამად არსებული დონე როგორც პროდუქციის საერთო მოსავლის, ისე მისი სასაქონლო ნაწილის დარგში ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ საჭიროებებს. წარმოიშვა შეუფარდებლობა სახელმწიფოს განკარგულებაში გადამავალი მარცვლეულის რაოდენობასა და მისი ხარჯვის ზრდას შორის.

მარცვლეულის წარმოების განვითარების დონეცა და პურზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას შორის შექმნილი შეუფარდებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის უხეში შეცდომები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ დაუშვეს სათესი ფართობების დაგეგმვაში, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურებისა და ბალახის ნათესლების დაგეგმვაში. მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შაბლონური გამოყენების გამო, როცა გათვალისწინებული არ იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის თავისებურებანი, მცირდებოდა მარცვლეული კულტურების ნათესები უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და ცენტრალურ-შავნიადაგიანი ზოლის რაიონებში.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად წამოიჭრა ამოცანა — მკვეთრად გადიდდეს მარცვლეულის წარმოება, რათა უახლოეს წლებში სახელმწიფოს თავის ხელში ჰქონდეს დამზადებისა და შესყიდვის ხაზით 35-40 პროცენტით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1953 წელს ჰქონდა.

ამ ამოცანის გადაჭრის გზები აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, რაც მთავარი ამოცანაა მიწათმოქმედებაში, მარცვლეულის წარმოების გადიდებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი მიწების ათვისებას. მოკლე ხნის განმავლობაში მარცვლეულის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი და სავსებით რეალური წყაროა მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოება ნასვენი და უამირი მიწების ათვისების გზით ყაზახეთის, ციმბირის, ურალის და ვოლგისპირეთის რაიონებსა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში.

პარტიამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად დასახა — გაფართოვდეს 1954-1955 წლებში მარცვლეული კულტურების ნათესები ნასვენი და უამირი მიწების ათვისებით სულ ცოტა 13 მილიონი ჰექტარით. ამ ფართობებზე 1955 წელს მიღებულ უნდა იქნას 1.100-1.200 მილიონი ფუთი მარცვლეული, აქედან 800-900 მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული.

მიწების ასათვისებლად სახელმწიფო იძლევა პირველხარისხოვან ტექნიკას. ახლა მთავარია ადამიანები, კადრები. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობის საფუძველზე შეარჩიონ და გაგზავნონ მომდინარე წელს იმ საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, რომლებიც ახალი მიწების ათვისებას ეწევიან, გამოცდილი ხელმძღვანელები და სპეციალისტები, კვალიფიციური მუშახელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა, რომ ნებაყოფლობითი წესით გაიგზავნოს უამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად 100 ათასი მექანიზატორი — კომკავშირელები და ახალგაზრდობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოამეღავნა დიდი ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის დაგეგმვასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებაში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო არასწორ გეზს ახორციელებდნენ სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში, რაც გამოიხატა მრავალწლიანი ბალახების ნათესების დაუსაბუთებელი გაფართოებით, რომლებიც ძალიან მცირე მოსავალს იძლევიან უკრაინის სსრ სამხრეთი ნაწილის, მოლდავეთის სსრ გვალვიან და ნახევრადგვალვიან რაიონებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, აგრეთვე მარცვლეული კულტურებისა და განსაკუთრებით სიმინდის, მარცვლეულ-პარკოსანი, ხაბურლეული და საფურაჟე მარცვლეული კულტურების ნათესების სერიოზული შემცირებით.

საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ეს შეცდომები და შეტანილ იქნას შესწორებანი ნათესი ფართობების სტრუქტურაში, რათა 1954 წლიდან სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეული და განსაკუთრებით ხაბურლეული, მარცვლეულ-პარკოსანი და საფურაჟე მარცვლეული კულტურების ნათესები მცირემოსავლიანი მრავალწლიანი ბალახების ნათესების შემცირებისა და ფართობების მოხვნის გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, მარცვლეულის წარმოების გადიდების ღონისძიებებთან ერთად, შემუშავებულია ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდების, მეცხოველეობის, მეფაფლეობისა და მეგვინახეობის განვითარებისა და მეცხოველეობის ხაკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ დიდ ამოცანათა განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით საბჭოთა მეურნეობებს. მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ გახდნენ სანიმუშო და მაღალრენტაბელური მეურნეობანი. მაგრამ ბევრი საბჭოთა მეურნეობა ცუდად იყენებს თავის მიწას, სახელმწიფოს ცოტას აძლევს მარცვლეულს, ხორცს, რძეს, მატყლსა და სხვა პროდუქტებს.

ბევრი საბჭოთა მეურნეობის ჩამორჩენა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების და განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის პასუხად ბრიგადის წევრთა სახელით ვალდებულებას ვკისრულობ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ 1954 წლის უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად. აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 20 ცენტნერ შემოდგომის ხორბალს ნაცვლად 17 ცენტნერისა. 50 ჰექტარ სიმინდს დავთესავთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით და ჰექტარზე მივიღებთ 40 ცენტნერ მოსავალს ნაცვლად 27 ცენტნერისა. ასევე მნიშვნელოვნად გავზრდით შაქრის ჭარხლისა და ხილის მოსავლიანობას. ყოველ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით მივიღებთ სულ მცირე 200 ცენტნერ შაქრის ჭარხალს და 15 ცენტნერ ხილს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. შარაშიძემ კოლმეურნეთა სახელით იკისრა მთელი ფერმობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 19 ცენტნერი პური, 35 ცენტნერი სიმინდი, 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 65 ცენტნერი ხილი. წელს კოლმეურნეობა 130 ჰექტარ ახალ მიწებს ათვისებს.

პარჯიის ცენჯრაღური კომიჯეჯის პლენუმის დადგენილება საქართველოს მშრომელებს აღაფრთოვანებს შრომაში ახალი წარმაჯებებისათვის

ყველა კულტურის უხვი მოსავლისათვის

ბოლო. (საკ. კორ.). რადიო გადმოსცემდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას. სოფელ ხელოუბნის კოლმეურნეობა „განთიადის" კანტორის ეზოში მას ბევრი კოლმეურნე უსმენდა... გადმოცემა რომ დამთავრდა, კოლმეურნეთა შორის დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის ბრიგადირმა სურენ ბაშინჯაღელმა განაცხადა:

— ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების პასუხად ბრიგადის წევრთა სახელით ვალდებულებას ვკისრულობ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ 1954 წლის უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად. აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით 100 ჰექტარი ფართობის

მუხროვანელთა ვალდებულებანი

საბარეჯო. (სპეც. კორ.). მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ამხ. დ. მეტრეველი) კოლექტივი მთელი ძალით იბრძვის იმისათვის, რათა ქვეყანას მისცეს მეცხოველეობის მეტი პროდუქცია. მეურნეობის მწყრები, მოსამსახურეები და სპეციალისტები გულდასმით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას — ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ.

მეურნეობის მუშაკთა მტკიცე გადაწყვეტილებაა წარმატებით შეასრულონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები. ისინი ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის განვითარების 1954 წლის გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 110 პროცენტით, თვითეულ მეწველ ძროხაზე მიიღონ გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით მეტი რძე, სახელმწიფოსათვის რძისა და ღორის ხორცის ჩაბარების გეგმები შეასრულონ 105 პროცენტით.

მეურნეობაში იღებენ ზომებს იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის საქმეში ფართოდ დანერგონ მოწინავე აგროტექნიკა. მუხროვანელთა ახალი გალდებულებაა თავთავიანი კულტურები დათესონ პროგრესული წესით — ჯვარედინად, კარტოფილი დარგონ კვადრატულ-ბუდობრივად, ბოსტნეულისა და კარტოფილის კულტურების ნათესებში შეტანონ 30 ტონა ნაკელი ერთ ჰექტარზე და მნიშვნელოვნად გააფართოონ მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

მოსავლიანობის გადიდებისათვის

ვანი. (სპეც. კორ.). ამ დღეებში ახალი შრომითი აღმავლობაა კოლმეურნეობებში. კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

სოფელ შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. კალანდაძემ კოლმეურნეთა სახელით ვალდებულება იკისრა: ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე წელს მოიყვანონ 60 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 55 ცენტნერისა, 22 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 130 ცენტნერი ხახვი, გეგმა კი 110 ცენტნერს ითვალისწინებს.

დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას მთისძირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მათ პირობა დადეს, რომ თუ შარშან ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 60 ცენტნერი ყურძენი, წელს მიიღებენ 65 ცენტნერს, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანენ 25 ცენტნერ სიმინდს ნაცვლად 22 ცენტნერისა.

ამ კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლურმა კომკავშირელმა ნინო ხუჭუამ, რომელმაც შარშან 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, წელს ვალდებულება იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 30 ცენტნერი სიმინდი.

ბოსტნეულის კარგი მოსავალი მოჰყავთ სოფელ სალხინოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა ა. ეფრემიძე. აქ დიდ ფართობზე თესავენ ხახვს. შარშან თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 160 ცენტნერი ხახვი. ახლა პირობა დადეს, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 190 ცენტნერ ხახვს ნაცვლად 110 ცენტნერისა.

კოლმეურნეები აძლიერებენ სოგაზაფხულო ხვნის ტემპს და მალე გაიჩაღებენ თესვას. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ წელს მოიყვანონ ყველა კულტურის უხვი მოსავალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

მარგანეცის ტრესტმა თებერვლის გეგმა შეასრულა

ჭიათურა. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჭიათურელმა მაღაროელებმა მორიგი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს: მარგანეცის ტრესტმა თებერვლის საწარმოო დავალება ვადამდე ორი დღით ადრე — 27 თებერვლისათვის გაანაღდა.

კარგად მუშაობენ ლენინის, ორჯონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებიც სანიმუშო მაჩვენებლებს აღწევენ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლაში.

ფეხსაცმელი — გეგმის გადამეტებით

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ორი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 800 წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი. საწარმოს კოლექტივი ახლა თავდადებით იბრძვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად მიიღწიოს ახალ წარმატებებს.

წინასაარჩევნო შეჯიბრებაში კარგ შედეგებს მიაღწია გამომჭრელი საამქროს კოლექტივმა. აქ დაზოგეს 25 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი, 15 ათასი კვადრატული დეციმეტრი ხაძირე ტყავი. დაზოგილი მასალებით გამოუშვეს მრავალი ათეული წყვილი საბავშვო ფეხსაცმელი.

მაღალნაყოფიერად შრომობენ ხ. ნაცვლიშვილი, ხ. ფოსტრიკოვა, ე. აბშილავა, ლ. შაგინიანი, ა. ჩერნიკოვი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ფაბრიკაში ათვისებულია ბავშვის ფეხსაცმლის სამი ახალი მოდელი, რომელთა მასობრივი გამოშვება ამ დღეებში დაიწყება. გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის ფაბრიკა გამოუშვებს 16 ახალი სახეობის ბავშვთა ფეხსაცმელს.

თბილისის ქალთა აქტივის კრება, მიძღვნილი 8 მარტის დღისადმი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის ქალთა აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მოწინავე მუშა ქალები, პედაგოგები, ექიმები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩოფიკაშვილმა.

კრების მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ნათელ ხსოვნას.

ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ. მან ილაპარაკა დიად უფლებებზე, რომლებიც ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა ქვეყანაში, კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვაზე საბჭოთა ქალებისათვის, რამაც საშუალება მიხცა მათ განვითარებინათ თავიანთი შემოქმედებითი ძალები და ნიჭი, გამხდარიყვნენ კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი.

მომხსენებელი შეეხო მსოფლიოს მშრომელი ქალების ბრძოლას მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

თ. ქვლივიძე ამბობს, რომ საქართველოს ქალები ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად უდიდესი აღმავლობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. არჩევნების დღეს ისინი ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებასა და ხიყვარულს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

მოხსენების შემდეგ უჩვენეს უ. დიუბუას პიესა „ჰაიტ". (საქდენი).

კასპის რაიონი, სოფელ მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამხ. თ. ოდოშაშვილი კოლმეურნეებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

სვერდლოვსკის № 17 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღეს ხვდება იმის მტკიცე რწმენით, რომ სწორია მისი მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომლის მიზანია მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირის განმტკიცება, შემდგომი განვითარება საწარმოო ძალებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას.

არჩევნების დღეს კომუნისტები და უპარტიოები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ ერთიანობასა და დარაზმულობას კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ხალხთან და მთელ თავის ძალებს ახმარს შემდგომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ უჭერენ მხარს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას იმიტომ, რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში ხელისუფლებას სათავეში უდგანან მუშები და გლეხები, შრომისა და მეცნიერების ადამიანები, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს იცავენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი არჩევნების დროიდან ოთხმა წელიწადმა განვლო. ამ პერიოდში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში.

ვადამდე შეასრულეს რა ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმა, საბჭოთა ადამიანები ძალისა და შრომის დაუზოგავად თავდადებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის გიგანტურ პროგრამას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში პარტიის XIX ყრილობამ დასახა საბჭოთა კავშირის განვითარების გზები. გასული წელი აღინიშნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობით, ნაციონალური შემოსავლის ზრდით, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებით.

სამრეწველო წარმოების მოცულობამ 2,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

ყოველი ღონისძიებით ავითარებენ რა სოციალისტურ ეკონომიკას, მთავრობა და პარტია ზრუნავენ იმისათვის, რომ პირველ რიგში შემდგომ განვითარდეს მძიმე მრეწველობა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველი იყო და არის.

გასულ წელს მძიმე მრეწველობამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ფოლადის გამოდნობის გადიდებაში, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვებაში, ელექტროენერგიის გამომუშავებაში.

სწრაფად იზრდება და ვითარდება საბჭოთა მანქანათმშენებლობა, რომელიც ქმნის ყველაზე მოწინავე თანამედროვე მანქანებს, ჩარხებსა და მოწყობილობას. მანქანათმშენებელმა საწარმოებმა თითქმის 4-ჯერ მეტი მანქანა და მოწყობილობა დაამზადეს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ავითარებენ რა მძიმე ინდუსტრიას, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, პარტია და მთავრობა არ ივიწყებენ მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებენ.

კომუნისტური პარტია ახორციელებს მსუბუქი მრეწველობის მკვეთრ აღმავლობას, რათა ორ-სამ წელიწადში მკვეთრად გაადიდოს მოსახლეობის უზრუნველყოფა სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

მსუბუქი მრეწველობა 1953 წელს ვითარდებოდა უფრო სწრაფი ტემპით და პროდუქციის გამოშვება 1952 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაადიდა.

წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია აბრეშუმის, შალისა და სელის ქსოვილები, სათეთრეულე ტრიკოტაჟი, წინდები, მცენარეული ზეთი, მარგარინი, მაკარონის ნაკეთობანი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ კმარა. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება იმ ოდენობით, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილება.

პარტია და მთავრობა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ღონისძიებებს წარმართავენ არა მარტო საქონლის რაოდენობის გადიდებისათვის, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვისაც.

მსუბუქმა მრეწველობამ უნდა გამოუშვას კარგი, კარგად გამოყვანილი, მაღალხარისხოვანი საქონელი.

ფართო მოხმარების საქონლისა და სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა პარტიის ამ მოწოდების პასუხად კიდევ უფრო უნდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ თვითეულმა საწარმომ ვადამდე შეასრულოს საწარმოო გეგმები.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ომისშემდგომ პერიოდში მათ გადააჭარბეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების ომამდელ ოდენობასა და მოსავლიანობას.

სოფლის მეურნეობა ახლა ომამდელზე მეტად და უკეთ აღჭურვილია ტრაქტორებით, კომბაინებით, მანქანებითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა არა ამ უდავო წარმატებებს. მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განვითარების მიღწეული დონე ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეობისა და მსუბუქი მრეწველობის დღითიდღე ზარდ მოთხოვნილებას სურსათსა და ნედლეულზე.

პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა. ეს პროგრამა გამოხატულია სექტემბრის პლენუმის დადგენილებასა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მარცვლეული მეურნეობის როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის ყოველმხრივი განვითარება, მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობა, უახლოეს ორ-სამ წელიწადში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების იმ ოდენობით უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელი გახდეს ბოლოსდაბოლოს დავაკმაყოფილოთ არა მარტო ქალაქების, სამრეწველო ცენტრების მოსახლეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებანი, არამედ მეცხოველეობის საჭიროებაც, — ასეთია ჩვენი გადაუდებელი ამოცანა.

ამ ამოცანის განსახორციელებლად პარტიამ და მთავრობამ იზრუნეს იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობა კვალიფიციური კადრებითა და ყველა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით.

გასულ წელს მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 139 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 18 ათასი სათოხნი ტრაქტორი, 41 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 69 ათასი სატვირთო ავტომობილი, 2 მილიონზე მეტი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანა.

პარტიამ და მთავრობამ მთავარი ყურადღება მიაქციეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განმტკიცებას.

მტს-ების შტატში უკვე ჩარიცხულია დაახლოებით 1.250 ათასი ტრაქტორისტი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და მისი თანაშემწე, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანის მემანქანე.

მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან სოფლად გაიგზავნენ კვალიფიციური ინჟინრები, ტექნიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, რომლებსაც ცოდნა და მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა შეუპოვარმა ბრძოლამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად დადებითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებაზე.

1953 წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოხნულია წინა წელზე 13 მილიონი ჰექტარით მეტი მზრალად და 3,5 მილიონი ჰექტარით მეტი შემოდგომის ანეული. მნიშვნელოვნად გადიდდა ბარუტყვის სულადობა, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და შესყიდვა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დასახა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანა, — 1954-1955 წლებში ნასვენი და ყამირი მიწების ათვისებით მარცვლეული კულტურების ნათესი გაფართოვდეს სულ ცოტა 13 მილიონი ჰექტარით, რომლებზეც 1955 წელს მიღებულ იქნება 1.100 მილიონი — 1.200 მილიონი ფუთი მარცვლეული, მათ შორის 800-900 მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული.

ყაზახეთში, ციმბირში, ურალში, ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც უმთავრესად წარმოებს ნასვენი და ყამირი მიწების ათვისება, მშრომელებმა ღირსეულად უნდა შეასრულონ კომუნისტური პარტიის ეს საბრძოლო პროგრამა. **(ტაში).**

სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებასა და განვითარებასთან, შრომის ნაყოფიერებისა და მშრომელთა შემოსავლის გადიდებასთან ერთად ჩვენში განუწყვეტლივ გაიზრდება მარცვლეულის წარმოების გადიდების მოთხოვნა.

მარცვლეულის, განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ხორბლის წარმოების განვითარება საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას მეტი პური ექნეს მოსახლეობისათვის, აგრეთვე საკვები საფურაჟე მარცვლეული — სიმინდი, ქერი, შვრია, რაც თავის მხრივ გაადიდებს ხორცის, ერბო-კარაქისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებას. **(ტაში).**

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება და მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდება პარტიას და მთავრობას ყველა მშრომელთა დიდ პატრიოტულ საქმედ მიაჩნიათ. **(ტაში).**

კომუნისტურმა პარტიამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია, მოწინავე მანქანათმშენებლობა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ტემპი. კიდევ უფრო მძლავრი უნდა გავხადოთ ჩვენი ქვეყანა, რომელიც მზად იქნება თავიდან აიცილოს ყოველგვარი მოულოდნელობა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. **(ტაში).**

საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი ღონისძიებანი უნდა გააერთიანონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის საბრძოლველად, რაც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას.

პარტიამ და მთავრობამ გრანდიოზული ამოცანები დასახეს საბჭოთა ხალხის წინაშე. ისინი თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვენ არა მარტო თავდადებულ შრომას, არამედ გადამწყვეტ ბრძოლასაც ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

ჩვენში კიდევ არის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის ცალკეული საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს.

ამის მოთმენა აღარ შეიძლება.

საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ჩვენს საწარმოებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა — აქვთ ახალი, უფრო სრულყოფილი მოწყობილობა, ჰყავთ კვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკური კადრები.

ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ არსებული ტექნიკა, სწორად მოვაწყოთ შრომა, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული მუშა ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს.

საჭიროა კიდევ უკეთ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, მტკიცედ გებრძოლოთ იერიშობანას, რომელიც არღვევს საწარმოთა რიტმულ მუშაობას.

ზოგიერთ საწარმოში ბევრ დროს ხარჯავენ აღრიცხვის სხვადასხვა ფორმების შედგენასა და ცნობების შეგროვებაზე სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, ხოლო ცოცხალ კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ მუშებს საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში.

ამ საწარმოებში ყველაზე მეტად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენი კაცია ჩაბმული შეჯიბრებაში, და ყველაზე ნაკლებად იმაზე, თუ როგორ ასრულებს გამომუშავების ნორმებს ყველა მუშა.

ასეთი შეჯიბრების შედეგად გამოდის, რომ აღრიცხვის ცნობებით შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა მუშა, სინამდვილეში კი საწარმოო გეგმები არ სრულდება.

ეს ნაკლოვანებანი გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას მშრომელთა მტკიცე ბრძოლით გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებით საწარმოებში, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, გეგმით გათვალისწინებული ასორტიმენტის მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებით, თვითღირებულების შემცირებით, სამეურნეო ანგარიშის დანერგვით.

აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი სოციალისტურ შეჯიბრებაში, სათავეში ჩავუდგეთ მასების მზარდ შემოქმედებითს ინიციატივას და აქტივობას, მობილიზაცია გავუკეთოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის ყველა შინაგან რეზერვს, მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ყველა ჩამორჩენილი საწარმო, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა — ასეთია ჩვენი პრაქტიკული ამოცანა. **(ტაში).**

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ განაპირობა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. გასულ წელს მნიშვნელოვნად ამაღლდა რეალური ხელფასის დონე, გადიდდა გლეხების შემოსავალი.

ფასების ექვსგზის შემცირების შედეგად, რაც განახორციელეს პარტიამ და მთავრობამ, 1953 წელს 1947 წელთან შედარებით პურის, მაკარონის ნაწარმისა და ბურღულის საცალო ფასები თითქმის ერთისამად შემცირდა, კარტოფილის და ბოსტნეულისა — ერთისამად და უფრო მეტად, შაქრისა — ერთიორად და უფრო მეტად, ხორცის პროდუქტებისა და ერბო-კარაქისა — თითქმის ერთისამად.

ამასთან დაკავშირებით მოსახლეობამ შეამცირა ჭვავის პურისა და კარტოფილის მოხმარება და გაადიდა უფრო ძვირფასი და ნოყიერი პროდუქტების მოხმარება.

განსაკუთრებით გადიდდა ხორცისა და ხორცის ნაწარმის, შაქრის, ხილის, კომბოსტოს, ბაღჩეულის მოხმარება.

გადიდდა მოთხოვნილება ქსოვილებზე, მზა ტანსაცმელზე, ავეჯზე, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნებზე. ყოველივე ეს მოწმობს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

დიდი წარმატებებია მიღწეული ჩვენს ქვეყანაში არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურულ მშენებლობაშიც.

დიდი მასშტაბით მიმდინარეობს ბინების მშენებლობა. განუხრელად ფართოვდება სკოლების, საავადმყოფოების, კურორტების, თეატრების, კინოების, ბიბლიოთეკებისა და კლუბების ქსელი.

გასულ წელს სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი აღემატება 28 მილიონ კვადრატულ მეტრს.

კაპიტალდაბანდებათა მოცულობა სკოლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და დახასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა და დაწესებულებათა მშენებლობისათვის 22 პროცენტით გადიდდა.

კიდევ უფრო ფართოდ განვითარდება საბინაო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა შემდგომ წლებში.

კომუნისტური პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკის პროგრესისათვის.

ჩვენი პარტია აფასებს მეცნიერებასა და მის მოწინავე ადამიანებს, რადგან, მეცნიერება თუ არ იქნა, ისე შეუძლებელია წინსვლა.

თვითეული პროგრესული მეცნიერული აღმოჩენა ან გამოგონება ჩვენში სწრაფად პოულობს პრაქტიკულ გამოყენებას, ფართოდ ინერგება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის ჩვენში შექმნილია ყველა პირობა, როგორიც არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში, რადგან საბჭოთა მეცნიერება, რომელიც კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს ახორციელებს, ხალხის ინტერესებს ემსახურება.

ხელმძღვანელობს რა მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დიადი მოძღვრებით, კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. **(ტაში).**

წარმოების სოციალისტურმა წესმა გაერთიანა და მთლიან ორგანიზმად დააკავშირა საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალური ფენა. სოციალიზმის გამარჯვებით სრულიად შეიცვალა ჩვენი ქვეყანა.

განვითარდა და განმტკიცდა საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის ხალხთა მეგობრული თანამშრომლობა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების კანონი გახდა.

სოციალისტურ წყობილებას დაუგრეტელი შესაძლებლობანი აქვს იმისათვის, რომ სწრაფად განავითაროს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, კიდევ უფრო განამტკიცოს ძლიერება საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს წარმოადგენს.

წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში განუზომლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარება, ურთიერთობის განმტკიცება ყველა სახელმწიფოსთან, მიუხედავად მათი მართვაგამგეობის შინაგანი სისტემისა.

საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარეობს.

მშვიდობისა და მეგობრობის საბჭოთა პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების თვალსაჩინო მაგალითია საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი.

საბჭოთა დელეგაციის მიერ ისეთი საკითხების პირდაპირ და ნათლად, პიტიოსად და გულწრფელად დაყენებამ, როგორიც არის ევროპის უშიშროება, გერმანიის გაერთიანება ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენა, მიიპყრო მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება.

თუმცა ბერლინის თათბირმა ხელი შეუწყო თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა პოზიციების უფრო სწორ გაგებას, მაგრამ აზრთა ამ გაცვლის მსვლელობაში ნათლად გამოვლინდა ძირითადი განსხვავებანი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა პოზიციებს შორის, უფრო ნათლად დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზები.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის მშრომელთა სულ უფრო მზარდი მოძრაობის ზეგავლენით ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები შეუთანხმდნენ საბჭოთა კავშირს ხელი შეუწყონ განიარაღების პრობლემის ან, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების პრობლემის წარმატებით გადაჭრას, აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ ჟენევაში მოწვეულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა თათბირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით **(ტაში)**, აგრეთვე იმ ქვეყნების მონაწილეობით, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებული არიან კორეის საკითხის მოწესრიგებითა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენით.

მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მუდმივად მზარდი ბანაკის განმტკიცების პოლიტიკას, რასაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს, მხურვალედ იწონებს პროგრესული კაცობრიობა იმიტომ, რომ ეს პოლიტიკა შეესაბამება მსოფლიოს ყველა ღუბრალო ადამიანის უაღრესად გულწრფელ მისწრაფებებსა და იმედებს.

მხოლოდ ასი შინაგანმარწმუნებელი ფაქტი მიანებს შეუძლიათ ჩვენი საგარეო პოლიტიკა შეაფასონ როგორც საბჭოთა კავშირის სისტემის ნიშანი, დიდი სამამულო ომის გამოცდილებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ ჩვენი სამშობლო უძლეველი მძლავრი ძალაა, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას თავი და გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ აგრესორს. **(ტაში).**

ახლა მშვიდობის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირთან ერთად იბრძვიან ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები. მშვიდობის მომხრეთა ბანაკი უძლეველი ძალა გახდა, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას მშვიდობა, სოციალიზმი და დემოკრატია, იხსნას კაცობრიობა ომის საფრთხისაგან. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი კვლავაც დაიცავს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, როგორც ისეთ პოლიტიკას, რომელიც ყველა მშრომელის ინტერესებს შეესაბამება. **(ტაში).**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, კოლმეურნეები, მეცნიერები და ინტელიგენცია ხვდებიან მტკიცე გადაწყვეტილებით — განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ყველა ამოცანა. **(ტაში).**

შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ, რომ ეს არჩევნები იქნება ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალი მკაფიო დემონსტრაცია, ხალხისა, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია თავისი მშობლიური კომუნისტური პარტის გარშემო. **(ტაში).**

ამხანაგებო! დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და სვერდლოვსკის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც დამასახელეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. **(მქუხარე ტაში).**

ვეცდები ღირსეულად გავამართლო ჩემი ამომრჩეველების ნდობა და ძალღონის დაუზოგავად ვიბრძოლო კომუნისტური პარტიის ამოცანების განხორციელებისათვის. **(მქუხარე ტაში).**

ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს თქვენ ერთსულოვნად მისცემთ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, რომლებსაც უნარი შესწევთ თავდადებით იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის. **(ტაში).**

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს! **(ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ბრძენ ბელადსა და ორგანიზატორს **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან

სვერდლოვსკის № 17 საარჩევნო ოლქი

სვერდლოვსკი, 6 მარტი. (საკუთარი). დღეს აქ გაიმართა სვერდლოვსკის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკთან.

სვერდლოვსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დარბაზში შეიკრიბა ორი ათასამდე კაცი. სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს ამხ. პავლოვს. იგი ამბობს:

სვერდლოვსკისა და სვერდლოვსკის ოლქის მანქანათმშენებლებმა, მეტალურგებმა, მაღაროელებმა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, მეცნიერებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სვერდლოვსკის საარჩევნო ოლქში დასახელეს ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამხანაგი შვერნიკი დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ქალაქ სვერდლოვსკის კომუნისტური ორგანიზაციისაგან სიტყვა ეძლევა ამხ. პიტელს. იგი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო მიღწევებზე კომუნიზმის მშენებლობაში; იმ ახალ გრანდიოზულ ამოცანებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა.

სვერდლოვსკისა და სვერდლოვსკის ოლქის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი. ამხ. პიტელმა მოუწოდა ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ტრიბუნაზეა ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის წარჩინებული მუშა ამხ. მასლი. იგი ლაპარაკობს, რომ ქარხნის კოლექტივმა ყველა ამომრჩეველისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თებერვლის დავალება. ამხ. მასლი ამბობს, რომ ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები ერთსულოვნად ისწრაფვიან აღნიშნონ არჩევნები ახალი საწარმოო წარმატებებით.

სიტყვა ეძლევა სვერდლოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეს ამხ. სმირნოვას.

— არამილის რაიონის კოლმეურნეები კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს, — ამბობს იგი. — ჩვენ სამგზის ავირჩიეთ იგი უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სვერდლოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა, მთელი რაიონის მშრომელებმა დამავალეს ვთქვა, რომ არჩევნების დღეს ისინი კვლავ ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და სიხარულით მისცემენ ხმას ამხანაგ შვერნიკს.

ოლქის პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან გამოდის ქარხანა „ურალელექტროაპარატის“ ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. კრუგლოვი. კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ნოვო-ტაგილის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ოსტატი ამხ. ტოლკაჩევი, ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ამხ. პუშკარიოვა, საკავშირო ალკკ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. საბუროვა, ურალის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სვირინი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა.

თგილისის № 626 სასოფლო საარჩევნო ოლქი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის № 626 სასოფლო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვასილ პავლეს-ძე მეკავნაძეს.

საგარეჯოს კულტურის სახლში, სადაც მოეწყო შეხვედრა, მრავალი ამომრჩეველი მოვიდა.

ამომრჩეველთა კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანმა ამხ. ო. ნემსაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დამსწრეთ გააცნო შეკრების მიზანი.

ნდობით აღჭურვილი პირი, საგარეჯოს საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. გოდერძიშვილი, ამომრჩევლები — სოფელ ჩაილურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ქეგხიშვილი, ახალგაზრდა ამომრჩეველი საგარეჯოს საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ე. დარბაისელი, საგარეჯოს მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი ო. საბაშვილი, შოხინი თავიანთ სიტყვებში ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს სამეურნეო და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რასაც დღეს მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო, საბჭოთა ხალხი განიცდის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის № 626 სასოფლო საარჩევნო ოლქის მშრომელები თავიანთ ხმას, თავიანთ სახელოვან საქმეებს უერთებენ ამ მძლავრ აღმავლობას.

— ერთსულოვნად მივცეთ ხმა დეპუტატობის ჩვენს კანდიდატს — ასეთი იყო სიტყვებით გამოსულთა მოწოდება.

ამომრჩეველთა კრება იმის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაცია იყო, თუ რა მონოლითურად არის ხალხი დარაზმული პარტიისა და მთავრობის გარშემო, პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი ვ. პ. მეკავნაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის.

ყოველმხრივ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

საგაზაფხულო თესვისათვის კაჭრეთის რაიონში წელს შედარებით უკეთ მოემზადნენ, ვიდრე წინა წლებში. კოლმეურნეობებმა შეასრულეს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათესლე ფონდების შექმნის დავალება, განაღდებულია მზრალად ხვნის გეგმა, მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებანი სათოხნ კულტურათა კვადრატულ-ბუდობრივი თესვისა და რგვის განსახორციელებლად.

მაგრამ ამ საშუალო მაჩვენებლების იქით იმალება სერიოზული ნაკლოვანებანი. მტს-ებსა და მთელ რიგ კოლმეურნეობებში გარღვევაა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. იგრძნობა თვითდინება, წარსულის მწარე გაკვეთილის გაუთვალისწინებლობა, მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის არასაკმაო მზრუნველობა.

როგორც ცნობილია, უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე პირველხარისხოვანი როლი ენიჭება სათანადო სათესლე ფონდების შექმნას. მაგრამ ზოგან ამ საქმეს საჭირო ყურადღება არ ექცევა. რით უნდა ავხსნათ, მაგალითად, ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებს აკლიათ 100 ცენტნერამდე ლობიოს, 37 ცენტნერი შვრიის, 750 ცენტნერი კარტოფილის თესლი და ა. შ. აშკარაა, რომ ის ღონისძიებანი, რომლებიც ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა განახორციელეს დანაკლისი სათესლე ფონდების შესავსებად, საკმარისი არ აღმოჩნდა.

ცუდი მდგომარეობაა თესლის ზოგიერთი სახის გაწმენდისა და სათეს კონდიციამდე აყვანის მხრივ. მაგალითად, 46 ცენტნერი ფეტვის თესლიდან, რაც რაიონის კოლმეურნეობებმა მოიმარაგეს თესვისათვის, სიწმინდით კონდიციურია მარტო ორი ცენტნერი. ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული 38 ცენტნერი შვრიის თესლი მთლიანად უკონდიციოა.

ტრაქტორების რემონტის სახელმწიფო ვადა — 10 მარტი — ფაქტიურად უკვე გავიდა, მაგრამ ეს ნაკლებად აფიქრებთ კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების დირექტორებს ამხ. მანთაშევსა და ზარდიაშვილს, რომლებიც დაუშვებელი ნელი ტემპით მუშაობენ. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ კაჭრეთის მტს-ში კიდევ შესაკეთებელია რვა ტრაქტორი, ხოლო ბადიაურის მტს-ში — 10 მანქანა. მტს-ები ჩამორჩენიან ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანის (კულტივატორები, გუთნები და სხვ.) რემონტშიც. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ების დირექციებმა თავიდანვე არ მიიღეს ქმედითი ღონისძიებანი რემონტზე პროგრესული ხერხის — კვანძური მეთოდის დასანერგავად და ვერ მოაწესრიგეს მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობები. ნაკლები იყო ამ მხრივ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველოს დახმარებაც.

აქამდე შესრულებული არ არის მითითება, რომ პარტიის რაიკომის მდივნები მტს-თა დარგში თვით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში უნდა ცხოვრობდნენ. რაიკომების მდივნები — ბადიაურის მტს-ის დარგში ამხ. გ. ჭიჭიკაშვილი და კაჭრეთის მტს-ის დარგში ამხ. ს. გაგოშიძე აქამდე რაიონულ ცენტრში ცხოვრობენ. ამასთან პირველს მტს-ამდე და უკან ყოველდღიურად 20-25 კილომეტრის გავლა უხდება.

საგაზაფხულოდ რაიონში კიდევ უნდა მოიხნას 2.900 ჰექტარი. მაგრამ ხვნა თითქმის არსად არ მიმდინარეობს და ამას ამინდის ცუდი პირობებით ხსნიან. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ არსებობს საშუალება ხვნა ვაწარმოოთ შერჩევით.

მოსავლიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს რეზერვს სასუქები წარმოადგენს. მაგრამ მეტ წილ კოლმეურნეობებში არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას, არ ცდილან ნაკლებადღირებულ გამოყენებინათ ზამთრის ყოველი ხელსაყრელი დღე, მეტი რაოდენობით გაეტანათ ორგანული და მინერალური სასუქები მინდვრად, ვენახებსა და ბოლებში. ამან გამოიწვია დიდი ჩამორჩენა. მარტო კაჭრეთის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს 34 ათასი ტონის ნაცვლად 1.038 ტონა ორგანული სასუქი აქვთ გატანილი. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ ბადიაურის მტს-ის ზონაშიც. კოლმეურნეობებს საქსოფლმომარაგების ბადიაურისა და მელაანის საწყობებიდან არ გაუტანიათ გასული წლის ნარჩენი 237 ტონა მინერალური სასუქიც.

გაჭიანურებულმა ზამთარმა საგრძნობლად შეამცირა საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკური ვადები. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ კაჭრეთის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა. პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებით მათ სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრან საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მინდვრის სამუშაოთა საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ამას მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის ინტერესები.

გ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო გორის რაიონის სოფელ ბერბუკის ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის გორის რაიკომს.

როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ი. რთველიაშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებათ დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილე განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან. საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია კოლმეურნეობის გამგეობის ახალი შემადგენლობა. დასახულია ღონისძიებანი კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ საქმით უპასუხებს თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავი“. გავზარდოთ პირუტყვის სულადობა, გავადიდოთ მისი პროდუქტიულობა, — ასეთია კოლმეურნე მეცხოველეთა საბრძოლო ამოცანა.

ჯ. ი, ახალგაზრდა მწყემსი დ. დათულიშვილი, როგორი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, როგორი მზრუნველობით აუყვანია მას ხელში ახლად მოგებული ბატკნები. ეს ბატკნები კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მეორე ბრიგადის ფარას შეემატა ამ დღეებში საზამთრო საძოვრებზე. სურათზე: მწყემსი დ. დათულიშვილი ბატკნებით.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

მატყლის დამმუშავებელი საამქრო

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო კომბინატთან შეიქმნა მატყლის დამმუშავებელი საამქრო. აქ ცხვრის თავისა და ფეხების მატყლისაგან, რომელიც გამოუყენებლად ითვლებოდა, ამზადებენ შალეულის ქსოვილებს და სხვა ფართო მოხმარების საგნებს.

საამქრომ უკვე გამოუშვა 600 მეტრი დრაფი, 250 ბავშვის საბანი, 200 ცალი ქალის თავშალი. წლის ბოლომდე საამქრო გამოუშვებს ერთი მილიონი მანეთის პროდუქციას.

თბილისის გარშემო იზრდება ბოსტნეულის ფართობი

თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობები შეუდგნენ საადრეო ბოსტნეულის თესვას. ჩითილის გამოსაყვანად ფაროდ იყენებენ ნეშომპალის ქოთნებს, რომლებიც დამზადებულია რამდენიმე მილიონი ცალი. ბოსტნეული კულტურების სათესი ფართობების გასადიდებლად ამზადებენ ყამირ მიწებს.

წელს ბოსტნების ფართობი საქართველოს დედაქალაქის გარშემო მნიშვნელოვნად გადიდდება. მარტო გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობები, **რომლებიც** ქალაქის ახლოს მდებარეობენ, **ბოსტნეულისათვის** აითვისებენ ასეულობით **ჰექტარ** ახალ მიწებს.

ფართობის დიდ ნაწილზე განხორციელდება კვადრატულ-ბუდობრივი **წესით** თესვა. ეს საშუალებას იძლევა **მექანიზებულ** იქნას ბოსტნეულის დამუშავება **და ასობით** მუშახელი გათავისუფლდეს სხვა სამუშაოსათვის.

კოლმეურნეობები წელს ნათესებში მინერალური სასუქების გარდა შეიტანენ ათობით ტონა ორგანულ სასუქს.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მთავრდება რესპუბლიკაში უდიდესი სათბურის მშენებლობა.

მატროსები

არკადი პერვენცევი

ეურნალ „ოკტიაბრის“ მარშანდელ ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი რუსი მწერლის არკადი პერვენცევის რომანი „მატროსები“, რომელიც ასახავს შავი ზღვის მატროსებისა და ოფიცერთა ცხოვრებასა და ხაჭმიანობას ხამამულო ომის შემდეგ.

რომანის ყველაზე საინტერესო ეპიზოდია ოსხეს ბესარიონის-ძე სტალინის ჩასვლა ყირიმში 1947 წლის აგვისტოში, მისი ყოფნა კრეისერ „მოლოტოვზე“, საუბარი მატროსებთან და ოფიცრებთან, ზრუნვა საბჭოთა ფლოტის მამაცი მატროსების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. ვათავსებთ ამ ეპიზოდს შემოკლებით.

სტალინი უქუდოდ გამოვიდა გემბანზე, დათანახა ფლაგმანის კაიუტასთან მდგომი გუშაგი და თავის დაქნევით მიესალმა. შემდეგ ხელები უკან დაიწყო და გაემართა მარჯვნივ თვითმფრინავთა და ბარკასთა ბაქნისკენ.

სტალინმა შეათვალიერა ყველაფერი, რასაც მზერა მისწვდებოდა, და გადაწყვიტა ჩამომჯდარიყო. მაგრამ ჩამოსაჯდომი ადგილი ვერ ნახა. შემდეგ თვალი ჰკიდა ქვემეხის საყრდენს, რომელიც დაფარული იყო ჩვეულებრივად შეღებილი ხაქაბე რკინის ფურცლით. მიუახლოვდა საყრდენს. თითებით შეეხო რკინის ფურცელს, სურდა გამოეცნო — ახალი ხომ არ არის ეს ლეგარე ლაქის სალებავი. დარწმუნდა, სალებავი არ გადადიოდა, და ჩამოჯდა საყრდენზე. იგი ისე დაბალი აღმოჩნდა, რომ სტალინს ფეხის მორთხმა დასჭირდა.

ალმის აღმართვის შემდეგ მენიშნე პეტრე არხიპენკოს ცვლა მერიგეს ჩაბარა და სასიგნალო ხიდურზე დარჩა.

სასიგნალო ხიდურის მოხერხებული მდებარეობა საშუალებას აძლევდა ზემოდან ეთვალთვალნა ყველაფრისათვის. არხიპენკო ფიქრობდა, სტალინის თვითეული სურვილი წამშივე შესრულებული უნდა იყოსო, მაგრამ ახლოს არავინ იყო, ხოლო მისი მხლებელი ადმირალები და **თანამდებობის** პირნი მოშორებით იდგნენ.

როცა სტალინი ქვემეხის საყრდენზე ჩამოჯდა, პეტრეს პირველი სურვილი იყო გაეფრთხილებინა იგი, რომ ეს არ შეიძლებოდა. გემზე გარეთ მდებარე რკინა ღამის განმავლობაში ჩვეულებრივ ცივდებოდა და მალე არ თბებოდა მზეზე, მით უმეტეს ჩრდილში.

ვიდაცას უნდა ედევნებინა თვალყური წესრიგისათვის და გამოესწორებინა საქმე, მაგრამ სტალინის მხლებელი ადამიანები კვლავ გართული იყვნენ ზღვით, რაღაცას გაცხოველებით ლაპარაკობდნენ და ხელით ანიშნებდნენ ხან საეკადრო ნაომნანებისაკენ, ხან ნაპირისაკენ.

არხიპენკოს ბევრი ადარ უფიქრია, სწორად იქცეოდა თუ არა სახომალოდ განაწესის მიხედვით. იგი დაემორჩილა მხოლოდ ერთადერთ სურვილს — დახმარებოდა სტალინს უფრო მოხერხებული ადგილის გამოძებნაში. არხიპენკო სწრაფად ჩამოეშვა ძირს და მიმოიხედა. გემბანზე არც ერთი სკამი არ ჩანდა. რა უნდა ექნა? ზემდგომს ყურადღება მიიპყრო ხმაურმა — ეს გუგუნებდა მტვერსასრუტი, მორიგეები სალონს ალაგებდნენ. კარი ღია იყო. სალონის გამოსასვლელთან ჩამწკრივებული იყო სკამები და სავარძლები.

არხიპენკომ წუთშივე მიიღო გადაწყვეტილება და შეეიდა სალონში, აიღო სავარძელი და სწრაფად, მაგრამ არა სირბილით, რათა ყურადღება არ მიექცია, გაემართა თვითმფრინავთა და ბარკასთა ბაქნისკენ.

მხოლოდ სტალინის ახლოს, რომელიც კვლავ მისკენ ზურგშექცევით იჯდა ქვემეხის საყრდენზე, პეტრე გონს მოვიდა. ვინ გაგზავნა იგი სავარძლისათვის? რატომ გადაწყვიტა ინიციატივის გამოჩენა? ერთ წამს შეჩერდა, მაგრამ გაეტაცა კარგი საქმის ჩადენის სურვილმა. ფრთხილად გადადგა ნაბიჯი მოკრიალებულ გემბანზე, მიუახლოვდა და დაღგა სავარძელი, თან ცდილობდა არ ეხმაურებინა მისი ფეხები.

სტალინმა იგრძნო, რომ ზურგს უკან ვიღაც იყო. აუჩქარებლად შემობრუნდა და დაინახა არხიპენკო, მისი დაძაბული სახე. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. სტალინი მიხედა, რაშიც იყო საქმე.

— გმადლობთ, ამხანაგო ზემდგომო, — უთხრა მან, — აქ მართლაც მოუხერხებელია. — იგი წამოდგა, გაიღიმა, ერთხელ კიდევ უთხრა მადლობა არხიპენკოს, ახლა უკვე თვალებით, და სავარძელში გადაჯდა.

— ნება მომეცით წავიდე, ამხანაგო საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსო, — აცახცახებული ტუჩებით წარმოთქვა არხიპენკომ და ხელი საფეთქელთან მიიღო.

სტალინმა ეერთბაშად როდი უპასუხა. მან მზერა გააყოლა მის ღონიერ ხელს, დაძაბულ ახალგაზრდულ კუნთებს.

— თქვენ უნდა წახვიდეთ, ამხანაგო ზემდგომო, თუ თავისუფალი ხართ? — ჰკითხა სტალინმა.

— თავისუფალი ვარ, ამხანაგო საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსო, ახლა შემცვალეს!

— მაშინ დაჯექით, გეთაყვა... აი აქ, თუ შეიძლება? — სტალინმა ღიმილით მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ის იყო თვითონვე იჯდა.

არხიპენკომ წინ წადგა რამდენიმე ნაბიჯი და საყრდენთან შეჩერდა.

— დაჯექით, დაჯექით, — მიიპატიჟა სტალინმა, — თქვენ, მატროსები, შეჩვეულნი ხართ... — ხალისიანი ირონიული ღიმილი გადაეფინა ულვაშებზე. — ისე კი არა, როგორც ჩვენ, გენერალისიმუსები.

არხიპენკომ ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გაოგნებული იყო მომხდარი ამბით და ვერ ბედავდა აქეთ-იქით მიმოხედვას (მას ხომ მთელი ხომალდი შემადგენლობა უცქერიოდა ახლა). იგი ჩამოჯდა საყრდენის კიდეზე, ძალა დაატანა თავს და ოდნავ დამშვიდდა.

ამ დროს ადმირალებმა სტალინის ახლოს შეინიშნეს ზემდგომი, რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და მთავენ გამოემართნენ. სტალინმა ადგილზევე შეაჩერა ისინი და ხელით ანიშნა, ყურადღება არ მიექციათ მისთვის.

შემდეგ არხიპენკოს მიმართა:

— რიმელი კოლმეურნეობიდან ხართ?

არხიპენკო ოდნავ გამხნეკდა. კითხვა უბრალო და ახლობელი იყო.

— ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, ამხანაგო სტალინ!

— ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, — გაიმეორა სტალინმა. — კლიმენტ ეფრემის-ძე მდიდარი მემამულეა. მას ძლიერ ბევრი კოლმეურნეობა აქვს.

არხიპენკომ ხუმრობაზე გაიღიმა.

— საიდან ხართ?

— კრასნოდარის მხარიდან, ამხანაგო სტალინ.

— მაშასადამე, ყუბანიდან. კაზაკი, ხომ?

— კაზაკი ვარ, ამხანაგო სტალინ.

— დახე, როგორი კაზაკები არიან ახლა! — წარმოთქვა სტალინმა. — ისინი მატროსები, ფიზინავები, ტრაქტორისტები, ინჟინრები გახდნენ. ხოლო ვიღაც ახლაც კი წუწუნებს, ბოლშევიკებმა კაზაკს ჩოხა-ახალუხი შემოაღლიტესო. დაღუპეს კაზაკებიო. დიდი ხანია, რაც ზღვაზე მსახურობთ?

— ორმოცდაოთხიდან, ამხანაგო სტალინ.

— მაშასადამე, ომშიც მიიღებდით მონაწილეობას?

— ცოტათი ვმონაწილეობდი.

არხიპენკო სავსებით დამშვიდდა. ცახცახი შეუჩერდა. მან თითქმის უკეთ დაინახა სტალინი. აქამდის მას ყველაფერი ნისლით შებურვილი ეჩვენებოდა. მას ესმოდა მხოლოდ მიცემულ კითხვათა სიტყვები და ემზადებოდა პასუხისათვის, ემორჩილებოდა რა სამსახურითა და დისციპლინით გამომუშავებულ ჩვეულებას.

— რა გვარი ხართ?

— არხიპენკო.

— აი, როცა გაათავებთ სამსახურის ვადას, შემდეგ სად წახვალთ, ამხანაგო არხიპენკო?

— გული შინისკენ მიმიწევს, ამხანაგო სტალინ. — ბეტრე ოდნავ შეცბუნდა.

— შინისკენ, მაშასადამე, კოლმეურნეობაში, არა?

— დიახ...

— რადგან გული იქითკენ მიგიწევთ, — წადით, — ჩაფიქრებით უთხრა სტალინმა. — სამსახური სამსახურია, მაგრამ თუ მიწა გეძახით, დაუბრუნდით მას. ხოლო გემებზეც საჭიროა გამოცდილი და საკმაოდ შემოწმებული ადამიანები... — სტალინმა გახედა სადღაც შორს და მისი მზერა კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრებული გახდა. — ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზღვაო საზღვრების დაცვას. ჩვენი ქვეყანა კი მდიდარია საზღვაო საზღვრებით. ის გარემოება, რომ ჩვენ მრავალი ზღვა გვაქვს, რასაკვირველია, ცუდი როდია, მაგრამ ეს ბევრ რამეს გვავალებს. ოდესღაც, რევოლუციის პირველ დღეებში, ჩვენ ვერაგულად დაგვესხნენ თავს მტრები, სურდათ ხელთ ეგდოთ და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ გამოეყენებინათ შავი ზღვის ფლოტი. ლენინმა ბრძანება გასცა ჩაეძირათ გემები. რა არ გადავიტანეთ მაშინ ჩვენ, მაგრამ არ შეიძლებოდა მტრებისთვის დაგვეთმო ფლოტი. გემი, ისე როგორც ყოველგვარი ნივთი, შეიძლება ემსახუროს ერთსაც და მეორესაც. ეს კრეისერი რომ ცუდ და სამაგალო კაუტებს ვანდოთ, მაშინ ზარბაზნები ჩვენს წინააღმდეგ დაიწყებენ სროლას... ახლა ჩვენ ვიგებთ ახალ გემებს, ხელახლა ვაიარაღებთ ფლოტს, სავსებით თანამედროვეს. პირველხარისხოვანს ვხდით მას, მაგრამ უმთავრესი ფლოტის ადამიანები არიან. მათზეა დამოკიდებული — იქნება თუ არა ფლოტი საბჭოთა კავშირის მძლავრი ფლოტი. ხომ მართალს ვამბობ, ამხანაგო არხიპენკო?

— სავსებით სწორია, ამხანაგო სტალინ, არის ჩვენში ერთი ასეთი გამოთქმა: ქვეითები მიწას სჭიდებენ მაგრად ხელს, მეზღვაურები ერთმანეთსო.

— ეს ცუდი გამოთქმა როდია, — შენიშნა სტალინმა და თვალებით გაიღიმა. — აი დაუბრუნდებით მიწას და მაგრად ჩაეჭიდებით მიწასაც და ერთმანეთსაც. ხოლო ახალგაზრდა ადამიანებს ნუ დაუშლით, როცა დაბრუნდებით, — ახალგაზრდობას უყვარს საზღვაო საქმე და დაე ხალისით, ძალდაუტანებლად და უშიშრად წავიდეს ზღვაზე სამსახურისთვის. მე ასე მგონია, ფლოტში სამსახური თუმცა ცოტა ძნელია, მაგრამ საპატიოა და, რაც მთავარია, საინტერესოა. ასეა ხომ?

— თქვენ სამართლიანად შენიშნეთ, ამხანაგო სტალინ. მხოლოდ...

— თქვით, თქვით...

— მხოლოდ აი რა, ამხანაგო სტალინ, საიდან იცით თქვენ, რომ სამსახური ძნელია?

— აბა საიდან გავიგებდი მე, რომ სამსახური საინტერესოა, ამას რატომ არ მეკითხებით?

— ეს ისედაც ჩანს, — არხიპენკომ ხელით აჩვენა ზღვის მთელი სივრცე, კრეისერი. — და მერე ამაზე ყველგან წერენ.

— დაწერა ყველაფრისა შეიძლება, რაც გნებავთ. დაწერილიდან მხოლოდ ის არის კარგი, რაც ცხოვრების სამართლეს უპასუხებს, არ ჩამორჩება ცხოვრებას, არ ამხანჯდებს მას, გვეხმარება წინსვლაში. ერთი ეს მითხარით, არხიპენკო, ვის უფრო ეძნელება ფლოტში სამსახური, ახალგაზრდას თუ ძველ მატროსს?

— ეს გაჩნია, ამხანაგო სტალინ, — არხიპენკო დაიბნა და სიტყვა ვეღარ ეპოვნა სათქმელად.

— ილაპარაკეთ მოურიდებლად, გულიად. ამ ლაპარაკს ჩემს გარდა სხვა ვინმე ვერ მოისმენს.

— ახალგაზრდას უჭირს პირველად, როცა სასწავლო რაზმშია და გემზე პირველად არის. ეს გასაგებია, რადგან აქ მისთვის ყველაფერი ახალია, ამხანაგო სტალინ.

— მაგრამ მას ხომ ეხმარებიან? ხომ შეჰყავთ საქმის კურსში? თუ აწვალებენ?

— არა, ახლა აღარ აწვალებენ, ამხანაგო სტალინ. ახლა გულისხმიერად ეხმარებიან, ცდილობენ ყველაფერი გულდასმით აუხსნან.. შეასწავლონ...

— მაშასადამე, საჭიროა მოთმინება, ხომ? ასე არ ამბობთ?

— აბა როგორ, ამხანაგო სტალინ. — არხიპენკო გამოცოცხლდა. — მაგრამ ახალგაზრდაც არის და ახალგაზრდაც.

— მაინც როგორ? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამხანაგო არხიპენკო?

— უფრო ზუსტად... ერთი ახალგაზრდა მოდის, რომ ისწავლოს, მეორე კი იმისათვის, რომ ზემდეგი გამოლანძღოს.

— ასეთებიც არიან განა?

— არიან, როგორც მთელ ხალხში, ისე გემზეც.

— მაინც როგორ?

— ეს ახალგაზრდები ჩვენ მთავარიდან როდი მოგვყავს, არამედ იმავე ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან. იქაც სხვადასხვა ადამიანები არიან და აქაც. ყველას ერთ საზომს ვერ მიუყენებ, თვითეულს განსაკუთრებული მიდგომა უნდა. გთხოვთ მაპატიოთ. ამხანაგო სტალინ, მაგრამ ეს ასეა, — იქნებ მე ვცდებოდე...

სტალინმა შეხედა ზემდგომს აწითლებულ სახეს და მოეწონა ახლა უფრო მეტად, ვიდრე საუბრის დაწყებამდე.

— რატომ სურს ახალგაზრდა მატროსს გალანძღოს თავისი ზემდეგი? ასეთი ხასიათი აქვს თუ აქ კიდევ სხვა რამეა?

— შეიძლება ხასიათიც ჰქონდეს ასეთი, ამხანაგო სტალინ. ხანდახან სასჯელსაც დავადებით ხოლმე ახალგაზრდებს.

— დასჯიდეთ კარგ?

— დიახ, ამხანაგო სტალინ.

— ერთი ეს მითხარით, რატომ არ ემორჩილება ახალგაზრდა მატროსი ზემდეგს? — ჰკითხა სტალინმა.

არხიპენკომ ერთბაშად ვერ გამონახა სათანადო სიტყვა.

— იქნებ იმიტომ, — დაეხმარა მას სტალინი, — რომ ფლოტში ჩვეულებრივ მოდიან ახალგაზრდა და განათლებული ადამიანები, ჩამოყალიბებული ჩვეულებით და ხასიათით და მოითხოვენ თავიანთი მეთაურიდანაც აგრეთვე განათლებას, ტაქტს, მეტ გაგებასა და მიხვედრილობას. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ეს სწორია, ამხანაგო სტალინ. მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდა მეტისმეტად ფიცხი და ფუტკიანია. სულ ახე ჰგონია, ზემდეგი შარიანია და მეკინკლავებაო. თვითონ კი დისციპლინისა არაფერი გაეგება...

— ცუდია, როცა კაცი, მით უმეტეს ახალგაზრდა, წიხლსა ჰკრავს დისციპლინას. დისციპლინა წესიერს ხდის ადამიანს, ეხმარება მას ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაში. დისციპლინა — კარგ ფოლადის არმატურას ჰგავს რკინა-ბეტონის ნაგებობაში. მაგრამ მაინც უმცროსი მეთაური არ უნდა ჩამორჩეს. თორემ დისციპლინის მიხედვით კრინტს არ დასძრავენ, ხოლო ზურგს უკან დასცინებენ. თქვენ ბევრს კითხულობთ, ამხანაგო არხიპენკო?

— ვკითხულობ, ამხანაგო სტალინ. ბევრს კი ვერ დავტრაბახებ.

— მაინც რას კითხულობთ?

— გაზეთებს, წესდებებს, ბროშურებს, წერილებს, ამხანაგო სტალინ.

— ზემდეგის სახელმძღვანელოს არ კითხულობთ?

— არა. ასეთი სახელმძღვანელო ჩვენ ჯერ არა გვაქვს.

— საჭირო კია?

— ძალიან საჭიროა, ამხანაგო სტალინ. სწორედ სახელმძღვანელო სხვადასხვა ცნობებით.

— წიგნებს თუ კითხულობ?

— ძალიან ცოტას, ამხანაგო სტალინ. დრო არა მაქვს.

— მე კი ვკითხულობ წიგნებს, ამხანაგო არხიპენკო. მე ალბათ თქვენზე მეტი დრო მაქვს.

— თქვენ სხვა ხართ, ამხანაგო სტალინ.

— მაინც როგორი ვარ?

— თქვენ ხომ, ამხანაგო სტალინ, კაცთა-კაცი ხართ, — წამოიძახა არხიპენკომ.

— კაცთა-კაცი, — სტალინმა კეთილად გაიღიმა, შემდეგ უფრო სერიოზული გახდა. — იცით თუ არა, ამხანაგო არხიპენკო, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ასეთი, როგორც თქვენ გამოთქვეთ, კაცთა-კაცი. — სტალინმა ხელის ნელი მოძრაობით შეაჩერა აღელვებული ზემდეგის სპრტესტი ჟესტი და განაგრძო: ეს ცუდი მოგონილია, და თქვენი მოგონილი როდია, ეს შეთხზეეთო წამიგცდათ, ამხანაგო არხიპენკო. თქვენ ღონიერი ადამიანი ხართ, ახალგაზრდა, ენერგიული, ხოლო კაცთა-კაცის შექმნას ცდილობენ უმწეო, თავის თავში რწმენადაკარგული, ცრუფორწმუნე ადამიანები. მეც ისეთი ადამიანი ვარ, როგორიც თქვენ, ამხანაგო არხიპენკო. ჩემი მშობლები გაუნათლებელნი იყვნენ, მაგრამ ცუდი ადამიანები არ ყოფილან. თვით ცხოვრებამ, ადამიანებმა, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობდით, ხალხმა დაგვაწონაო მე და სხვები სახელმწიფოს ხელმძღვანელებად, მაგრამ რას გავაკეთებდით ჩვენ, ხელმძღვანელები, უთქვენოდ, პატიოსანი საბჭოთა ადამიანების გარეშე? ჩვენ არათუ სოციალიზმისა და ამ გემის აგებას, არამედ გლეხის უბრალო ქოხის აშენებასაც ვერ შევძლებდით. სოციალიზმის ძალა, ამხანაგო არხიპენკო, მარტოოდენ ხელმძღვანელებში როდია...

სტალინმა დაინახა საპროტესტო ნაპერწკალი თანამოსაუბრის თვალებში და გადაწყვიტა პასუხი გაეცა ამ მდუმარე შესიტყვებისთვისაც.

— რასაკვირველია, ხელმძღვანელი ბევრ რამეს ნიშნავს, თქვენ მართალი ხართ. ხელმძღვანელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. აი თუნდ ამ გემზე დაიყენე ცუდი, უცოდინარი ან გაიძვერა მეთაური. ვერავითარი ავტომატიკა ვერ დაიხსნის. დაღუპავს გემს. კარგი ხელმძღვანელი მისთვის მინდობილ ადამიანთა ბედით უნდა ცხოვრობდეს, ასწავლიდეს მათ და იმათგანაც სწავლობდეს. მაშინ საქმე კარგად წავა! მაგრამ მთავარი ძალა ხელმძღვანელში კი არ არის, არამედ ხალხშია. ჩვენ ვაკეთებთ ახალ საქმეს — ვაკეთებთ მას ერთობლივად — ხელმძღვანელები უფრო ხშირად უნდა ბეჭობდნენ ერთი მეორესთან და უფრო ხშირად კითხავდნენ რჩევას ხალხს. აი მე რჩევას კითხავთ თქვენ, თქვენ ბეჭობთ ჩემთან. ახალი ცხოვრების, ახალი წყობის ორგანიზაციის საქმეში საჭიროა ურთიერთნდობა. ერთსულოვნება, ერთმანეთთან ბეჭობა. ტყუილად ეს არ ეწოდება ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ქვეყანა.

საუბრის დროს სტალინმა გატანა ჩიბუხი თამბაქოთი, გაბოლა და ერთხელ კიდევ ხელის გაქნევით უკმაყოფილოდ მოიშორა გარშემომყოფი ადამიანები, რომლებსაც ალბათ სურდათ მოეშორებინათ მისთვის მატროსი.

— მინდოდა თქვენთან მელაპარაკნა, რჩევა მეკითხა, ესენი კი უკმაყოფილონი არიან, — სტალინისათვის ჩვეული ხუმრობის კილოთი აუხსნა მან თავისი მდუმარე გადალაპარაკება შორიახლო შეკრებილ უფროსებთან.

არხიპენკო წამოდგა.

სტალინიც წამოდგა, სიყვარულით შეათვალიერა წარმოსადეგი ზემდეგი.

— ყველაზე მთავარია ერთსულოვნება, — ერთხელ კიდევ გაიმეორა სტალინმა. — რითია ძლიერი კოლმეურნეობა? — აგრეთვე ერთსულოვნებით. ყველანი ერთად ერთ საქმეს ჰკიდებენ ხელს და რაც უნდა ძნელი იყოს იგი, დასძლევენ მას. ცალცალკე რომ ყოფილიყვნენ, მაშინ? არაფერი გამოუვიდოდათ! სოფლის მეურნეობაში კოლექტიური ერთსულოვნება რომ არ ყოფილიყო, არაფერი არ გამოგვიდოდა, რაც უნდა გვეფაფხურა. განა რაღაც ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე შეეძლებდით მოგვესპო შამბნარი, შეგვეკრება მიწის დაჟუცმაცებული ნაკვეთები, ბოლო მოგვეღო კოვის და ნამგლისათვის, ტრაქტორსა და კომბაინზე დაგვესვა გლეხი? შეეასრულეთ ლენინის ანდერძი, ჩვენი ცხოვრების მიზანი კი არის ვიყოთ მისი ღირსეული მოწაფეები. უამისოდ არ იქნებოდა კომუნისტური პარტია, რომელსაც ლენინმა უწოდა ჩვენი ეპოქის ჭაუა, ღირსება და სინდისი, არ იქნებოდა მუშების, გლეხების, არმიის, ფლოტის ერთსულოვნება. ახლა ასეთ გემებზე კი არ ვიქნებოდით, ამხანაგო ზემდეგო, არამედ ბაწაურკინტელა, აი იმ ფელუგის მსგავს ნავებზე...

სტალინმა ჩიბუხიანი ხელი გაიშვირა წინ, ზღვის მოელვარე ზვირთებში ოდნავ მოციალე დელფინსაკენ ბარკასების ფლოტილისკენ.

თარგმნა ნ. აბიაშვილმა.

„სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ლევან ასათიანის ნაშრომი — „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“.

კრებულში შესული ნარკვევები და შენიშვნები დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან, მის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.

მუშათა რევოლუციური პოეზიის გამოვლენა ქართულ არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, ქართული ბოლშევიკური პროკლამაციების ენა და სტილი, ი. ბ. სტალინის ადრინდელი ნაშრომები და ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის — ყველა ეს საკითხი ამ კრებულში პირველად

ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შეთანხმებას საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1954 წლისათვის

6 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შეთანხმებას საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ 1954 წლისათვის.

ამ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა კავშირი მიაწვდის ჩვეულებრივად ალბანეთში შესატან საქონელს.

გარდა ამისა, 1954 წელს, წინათ დადებულ შეთანხმებათა შესაბამისად, საბჭოთა კავშირი ალბანეთს კრედიტის წესით მიაწვდის კომპლექტურ მოწყობილობას სამრეწველო საწარმოებისათვის, აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ალბანეთს ამ საწარმოთა მშენებლობასა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა შესრულებაში.

ალბანეთი, როგორც წინა წლებშიც, საბჭოთა კავშირს მიაწვდის ნავთობს, ბიტუმს, სპილენძს, ფანერას, თამბაქოს და სხვა საქონელს.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა და ალბანეთის მხრივ — ვაჭრობისა და კომუნიკაციების მინისტრმა გ. ნუშმ.

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის განცხადება

კაირო, 6 მარტი. (საკდესი). როგორც „ოკეანეში გზეტი“ იუწყება, დღეს ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა გამალ აბდელ ნასერმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი დამფუძნებელი კრების შესაქმნელად, რომელსაც მოიწვევენ 1954 წლის 23 ივლისს. „დამფუძნებელი კრების არჩევნები, — აღნიშნა მან, — პირდაპირი იქნება. მის წევრებს აირჩევენ როგორც კერძო პირებსა და როგორც ხალხის წარმომადგენლებს, და არა როგორც რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წარმომადგენლებს“.

ვარაუდობენ, რომ დამფუძნებელ კრებაში 250 წევრი იქნება.

შემდეგ ნასერმა განაცხადა, რომ „დამფუძნებელი კრების ამოცანა იქნება ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, მისი დამტკიცება და პარლამენტის ფუნქციების შესრულება ახალი პარლამენტის მოწვევის მომზადების პერიოდში, რომელიც შეიქმნება ახალი კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად. ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ გადაწყვიტა გააუქმოს სამხედრო წესები ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების არჩევნების დაწყებამდე. ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ გადაწყვიტა აგრეთვე 6 მარტს გაუქმოს ბეჭდვითი სიტყვის ცენზურა გარდა იმ ცნობებისა, რომლებიც თავდაცვის საკითხებს ეხება“.

კორესპონდენტების შეკითხვების პასუხად ნასერმა თქვა, რომ ყველა კანონი, რომლებსაც ახალი რეჟიმი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მიიღებს, გადაეცემა კრებას განსახილველად.

პოლიტიკური პარტიების აღდგენის საკითხი, თქვა შემდეგ ნასერმა, დამოკიდებული იქნება ახალ კონსტიტუციაზე, ესე იგი მას გადაწყვეტს დამფუძნებელი კრება. ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭო კვლავაც განაზორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას, და მისი მდგომარეობა ისეთივე დარჩება, როგორც ახლა, სანამ არ აირჩევენ ახალ პარლამენტს. პარლამენტის არჩევნების თარიღს დაწესებს დამფუძნებელი კრება ახალი კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ.

ქაშმირის პრემიერ-მინისტრის განცხადება

დელი, 6 მარტი. (საკდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, ქაშმირის პრემიერ-მინისტრმა ბაქში გულიამ მოჰამედმა, გამოვიდა რა სრინაგარის მასობრივ მიტინგზე, მკვეთრად დაგმო პაკისტანის მთავრობის თანხმობა — მიიღოს ამერიკის სამხედრო დახმარება. ბაქში გულიამ მოჰამედმა თქვა, რომ პაკისტანის მთავრობის მოქმედება განსაკუთრებით არახელსაყრელია იმ მომენტში, როცა შუა აღმოსავლეთის ხალხები ცდილობენ განთავისუფლდნენ იმპერიალიზმის უღლისაგან.

ქაკ დიუკლოს მოხსენება

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პარიზი, 6 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გუშინდელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ქაკ დიუკლომ.

ქაკ დიუკლომ აღნიშნა, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის შემდეგ საფრანგეთის მუშათა კლასსა და საფრანგეთის მთელ ხალხს შორის გაძლიერდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების მოთხოვნა.

დიუკლომ გააკრიტიკა ბიდოსა და დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა საგარეო საქმეთა მინისტრების პოზიცია ბერლინის თათბირზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სამმა მინისტრმა გაიღიარა ყველა ის წინადადებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა. მათ უარყვეს საბჭოთა ყველა წინადადება, რომლებიც ნაკარნახევი იყო იმ მისწრაფებით, რომ დაშვებულ არ იქნას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. ასეთმა საქციელმა უხარუნველყო ეორე ბიდოს შექება დალესისა და კანცლერ ადენაუერის მიერ.

შეეხო რა ბერლინის თათბირზე მიღწეულ შეთანხმებებს, დიუკლომ განაცხადა: შედეგები კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, დასავლეთის დელეგაციებს მართლაც რომ მოესურვებინათ ამ პრობლემების გადაჭრა. მიუხედავად ამისა, ბერლინის თათბირი მოლაპარაკების პოლიტიკის გამარჯვება ძალის პოლიტიკაზე.

შეეხო რა საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილ გეგმას ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგი ხალხის უმრავლესობა მოესალმება და მხარს უჭერს ამ გეგმაში გამოხატულ კოლექტიური უშიშროების იდეას.

ჩვენს კონტინენტს, განაცხადა დიუკლომ, სთავაზობენ მშვიდობის ნამდვილ გარანტიებს. საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი „სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ“ იწვევს ევროპის სახელმწიფოების არა გათიშვას, არამედ ნორმალური ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებას მათ შორის, გამორიცხავს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების შესაძლებლობას და მიზნად ისახავს ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნას.

ჩვენი ხალხი მთელი ძალღონით იბრძოლებს იმისათვის, რომ საღავო საკითხების შეთანხმების გზით გადაჭრის პრინციპმა გაიმარჯვოს იმ მძარცველთა ღონისძიებებზე, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ თანამშრომლობა.

შემდეგ დიუკლო დაწვრილებით შეეხო ფრანგი ხალხის წარმატებებს ბრძოლაში „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის წინააღმდეგ, მშვიდობის პოლიტიკის გამარჯვებისათვის და საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში ჩაბმული არიან ფრანგი ხალხის სხვადასხვა ფენები.

დიუკლომ თქვა, რომ საფრანგეთის მთავრობამ უპასუხოდ დატოვა ხო ში მინის წინადადება მშვიდობიანი მოლაპარაკების შესახებ, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მისწრაფება შეინარჩუნოს ომის კერა ინდოჩინეთში. დიუკლომ მოუწოდა დამსწრეთ გააძლიერონ ბრძოლა ომისათვის, რომ გაიმართოს მშვიდობიანი მოლაპარაკება ხო ში მინის მთავრობასთან, რათა დაუყოვნებლივ დაიდოს დროებითი ზავი. მან ცხადყო, რომ საფრანგეთის მთავრობა თავის პოლიტიკაში იჩენს სრულ დამოკიდებულებას ამერიკელი იმპერიალისტებისაგან, რომელთა პოლიტიკაც ძირითადად ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს როგორც იმაში, რაც ინდოჩინეთის ომის განგრძობას შეეხება, ისე გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საკითხშიც.

მილიტარიზაციის პოლიტიკის განგრძობა ქვეყნის შიგნით, განაგრძო დიუკლომ, დამლუპველ გავლენას ახდენს საფრანგეთის ფინანსებსა და ეკონომიკაზე. მან აღნიშნა, რომ საფრანგეთის ეკონომიკა განიცდის შუმანის გეგმის სახიფათო შედეგებს, რომელიც უშუალოდ ემუქრება საფრანგეთის მრეწველობას, იწვევს შახტების, მაღაროებისა და მეტალურგიული საწარმოების დახურვას, იწვევს უმუშევრობას. ავიაშენებელი მრეწველობა, გემთმშენებლობა და საფრანგეთის მრეწველობის სხვა მნიშვნელოვანი დარგები, აგრეთვე საფრანგეთის ტექნიკა და მეცნიერება მსხვერპლად შეეწირა ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის კონკურენციას.

დიუკლომ აღნიშნა საფრანგეთის მშრომელთა სიღატაკე, რომლებმაც უდიდესი გაჭირვება განიცადეს წლევანდელი ზამთრის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით, განაგრძო დიუკლომ, სრულიად ბუნებრივია, რომ მუშათა კლასი ცდილობს მიაღწიოს ხელფასის საერთო გადიდებას. უგულებელყოფს რა კოლექტიურ ხელშეკრულებათა უმაღლესი კომისიის წინადადებებს, მთავრობა თავს არიდებს ამ საკითხის გადაჭრას. მაგრამ ამ უკანასკნელი დროის გაფიცვებმა ცხადყო, რომ მუშათა კლასს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილება მიაღწიოს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც მთავრობას არ შეუძლია არ მიიღოს მხედველობაში.

შემდეგ დიუკლომ აღნიშნა, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციის სულგრძელი და შეუნელებელი ღონისძიებანი მშრომელთა მოქმედების ერთიანობის გაფართოების დარგში იწვევენ ხელსაყრელ შედეგებს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის“ ბიუროს გადაწყვეტილებაში მხარი დაუჭიროს წინადადებას 24 საათის გაფიცვის მომზადების შესახებ.

შემდეგ დიუკლომ დაახასიათა საფრანგეთის გლეხობის, საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის მუშების მძიმე მდგომარეობა, აგრეთვე შეეხო ქალების, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის ბრძოლას პურისათვის, საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის.

დიუკლომ თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება მიაქცია მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცებას. დიუკლომ თქვა, რომ ამ უკანასკნელ თვეებში ახალი წარმატებებია მიღწეული მშრომელი სოციალისტებისა და კომუნისტების მოქმედების ერთიანობის გაფართოებაში.

შეეხო რა მოქმედების ერთიანობის ბევრ მაგალითს, დიუკლომ განაცხადა, რომ მშრომელებს — კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის მყარდება ახალი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც შეიცავს უდიდეს შესაძლებლობებს. ამიტომ საჭიროა მთელი ძალღონე მოხმარდეს იმას, რომ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის დამყარებამ შესაძლებელი გახადოს ყველა ნამდვილი ფრანგის გაერთიანება მთავრობის ახლანდელი პოლიტიკის შესაცვლელად.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა დიუკლომ, გაბედულად, დროის დაუკარგავად უნდა განვახორციელოთ ერთიანი ფრონტის ჩვენი პოლიტიკა, რადგან საფრანგეთის წინაშე ისახება სერიოზული პრობლემები. საჭიროა ჩავფუშოთ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი. უნდა მივაღწიოთ მშვიდობის აღდგენას ინდოჩინეთში და მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ მიზნით უნდა გავაძლიეროთ კამპანია მშრომელ სოციალისტებთან მოქმედების ერთიანობისათვის.

ახლახდელ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, თქვა დიუკლომ, საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ ჩვენი პარტიის წევრთა თეორიული დონე, გავაძლიეროთ მშრომელთა პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობა, ორგანიზაციული დარაზმულობა, რაც ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვებების იარაღია.

შემდეგ დიუკლომ აღნიშნა, რომ არსებითი ნაკლოვანებებია კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ მუშაობაში. მან მოუწოდა პარტიის აქტივისტებს განამტკიცონ პარტიული უჯრედები საწარმოებში და გააძლიერონ პარტიის წევრთა აქტივობა, გაფართოონ კომუნისტების მჭიდრო კავშირურთიერთობა მშრომელ მასებთან. კომუნისტური პარტიის ძალა და ბრძოლისუნარიანობა, ხაზგასმით აღნიშნა დიუკლომ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად განხორციელდება კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური ორგანიზაციული პრინციპები, თუ როგორ გაფართოვდება კრიტიკა და თვითკრიტიკა.

დასასრულ დიუკლომ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მოსენტში კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ, თვითეული ჩვენგანი უნდა განიმსჭვალოს ამ ბრძოლის მნიშვნელობის შეგნებით, რომელიც ჩვენ უნდა მოვიგოთ. მე ვუსურვებ ცენტრალურ კომიტეტს ფართოდ განიხილოს დასახული პრობლემები იმ ანგარიშით, რომ ამ განხილვის მსვლელობაში ჩამოყალიბდება მკაფიო და გარკვეული თვალსაზრისი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ჩვენი პარტიისა, რომელიც წინ მიუძღვის მასებს, რათა დავამარცხოთ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მომხრეენი და მიგაღწიოთ ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს, მივაღწიოთ ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოლიტიკის განხორციელებას.

სპორტის ამბები

საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიგეს მსოფლიო პირველობა შაიბიან ჰოკეიში

სტოკჰოლმი, 7 მარტი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა სრულიად საკავშირო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე საცეგურაო სპორტში.

დილით გაიმართა გარბენა 1.000 მეტრზე ქალთათვის. პირველ წყვილში სტარტი აიღო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ლიდია სელიხოვამ. მიუხედავად ქარიანი ამინდისა, მან გვიჩვენა მშვენიერი შედეგი — 1 წუთი და 44,9 წამი. მაგრამ აი ყინულის ბილიკზე გამოდიან სპორტის დამსახურებული ოსტატები მარიამ ისაკოვა (მოსკოვი) და ოლგა აკიფიევა (ლენინგრადი). ისინი მიდიან სწრაფი ტემპით. წინ გაიჭრა აკიფიევა და შეჯიბრება დაამთავრა უკეთესი შედეგით — 1 წუთი და 44,8 წამი.

მაგრამ ეს მიღწეულ მალე გადაჭარბებულ იქნა 1.000 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენის ო�o წლის მოსკოველ ხალიდა შჩეგოლევის მიერ. ოგი დისტანციას ამთავრებს 1 წუთსა და 43,2 წამში.

მას ენიჭება სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონის წოდება ამ დისტანციაზე.

მეორე იყო სვერდლოვსკელი რიმა ჟუკოვა, რომელიც შჩეგოლევამს ჩამორჩა მხოლოდ 0,3 წამით.

იწყება გარბენა 5 ათას მეტრზე ქალთათვის. აქ კვლავ თავი გამოიჩინა რიმა ჟუკოვამ. მან დისტანცია გაიარა 9 წუთსა და 40,3 წამში და მოიპოვა სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონის წოდება.

ამრიგად, ქულების ჯამით სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება საცეგურაო სპორტში ქალთა შორის კვლავ რიმა ჟუკოვამ მოიპოვა.

კოლექტივთა შორის პირველი ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციის პირველ გუნდს.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირზე

ბუქარესტი, 7 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა მეხუთე და მეექვსე ტურის გადადებული პარტიები. ჩოკოლატია და ფალიბი თამაშის განუსაზღვრელად შეთანხმდნენ ყაიმზე; ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ვოიკულესკუ-ჩოკოლტიას პარტია; საბომ მოუგო პაოლის. ფურმან-ხოლმოვის პარტია კვლავ გადაიდო.

საქართველოს პირველობა

მერვე ტურში ბუსლაევმა რთულ თამაშში დაამარცხა ჩიქოვანი, ბლაგიძემ — არნშტეინი. კარგად ჩაატარა შეხვედრა გურგენიძემ, რომელმაც 32-ე სვლაზე აიძულა სმირნოვი დანებებულიყო. მაკაბარიანმა პარტიაში ნიკოშვილთან გამოიყენა დიდი რუსი მოჭადრაკის ნიგორინის დებიუტი და გამარჯვებას მიაღწია.

ჯაბუა-გიორგაძის და ფრუიძე-მიქაელიანის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადადგა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ელიოზიშვილმა მოუგო ჯაკობიას. კალატოზიშვილ-შიშოვის, კალატოზიშვილ-არნშტეინის, მაკაბარიან-მიქაელიანის და ფრუიძე-ჩიქოვანის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

რვა ტურის შემდეგ წინ არიან: ა. ბუსლაევი — 7 ქულა, ბ. გურგენიძე და ო. ელიოზიშვილი — თვრამეტ-თვრამეტ ქულა.

ქალთა ჩემპიონატი თბილისის პირველობაზე

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დედაქალაქის 1954 წლის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. ჩემპიონის საპატიო სახელისათვის იბრძვიან თბილისის 1953 წლის ჩემპიონი ლ. ნაჭყებია, ლ. წერეთელი, მ. ლოლიშვილი, გ. ივანოვა, მ. ტოგონიძე და სხვ. სულ 18 მოჭადრაკე ქალი.

საქართველოს ჩემპიონი ე. კაკაბაძე, ქ. გოგიაშვილი და ლ. ხაჩაპურიძე ემზადებიან საბჭოთა კავშირის ქალთა XVI პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია მოეწყოს თბილისში აპრილის პირველ რიცხვებში. ამის გამო ისინი პირველობაში არ მონაწილეობენ. ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან მ. ლოლიშვილი და მ. ტოგონიძე, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ თვითეულს.

„სსრ კავშირის თასზე“ რუსულ ჰოკეიში

მოსკოვის დინამოელთა გამარჯვება

7 მარტს მოსკოვში გაიმართა ფინალური შეჯიბრება „სსრ კავშირის თასზე“ რუსულ ჰოკეიში. სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ მოსკოვის გუნდი შეხვდა ხაბაროვსკის ოფიცერთა სახლის ჰოკეისტებს.

ფინალური შეჯიბრება მწვავე სასპორტო ბრძოლით მიმდინარეობდა. გამარჯვება ანგარიშით 2:1 მოიპოვა მოსკოვის „დინამოს“ გუნდმა. გამარჯვებულებს გადაეცათ საპატიო პრიზი. (საკდესი).

ფეხბურთის სეზონის გახსნა

7 მარტს თბილისში გაიხსნა 1954 წლის ფეხბურთის სეზონი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ქალაქის უძლიერეს ფეხბურთელთა კოლექტივების პარადი. ალამი აღმართეს ოფიცერთა საოლქო სახლის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების კაპიტნებმა.

ამავე დღეს გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში თბილისის 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლისა და ნორჩ დინამოელთა, აგრეთვე ოფიცერთა საოლქო სახლისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის. პირველ შეჯიბრებაში გაიმარჯვა 35-ე სკოლის ფეხბურთელთა კოლექტივმა ანგარიშით 1:0; მეორე ასპარეზობა მოიგო თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ოსტატთა გუნდმა 3:0.

სეზონის გახსნის ჯილდოს გათამაშება 30 გუნდის მონაწილეობით დაიწყება 11 მარტიდან.

ქალთა მეოთხე სპარტაკიადა

კვირას თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სასპორტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა თბილისის ქალთა მეოთხე ტრადიციული სპარტაკიადა, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი. გაიმართა სპორტსმენთა პარადი, კალენდარული შეხვედრები კალათბურთში.

სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებს 1.200-მდე ქალი. პროგრამაშია სპორტის 13 სახეობა. კალათბურთელთა პირველ შეხვედრებში გაიმარჯვეს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სხვა გუნდებმა.

ქალთა სპარტაკიადა 28 მარტამდე გაგრძელდება. მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე.

ნეკროლოგი

შ. გ. ლელაშვილი

5 მარტს ასაკოვანი სენისაგან გარდაიცვალა შემდეგ ფაქტიურად: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პარტიული პროპაგანდის სექტორის გამგე შოთა გრიგოლის-ძე ლელაშვილი.



შ. გ. ლელაშვილი დაიბადა 1922 წელს ქ. თბილისში სტამბის მუშის ოჯახში. 1941 წლიდან 1946 წლამდე იყო საბჭოთა არმიის რიგებში, უშუალო მონაწილეობას იღებდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში. საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1947-1952 წლებში სწავლობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ყოფნის დროს აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ-პროფკავშირულ მუშაობაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს შ. გ. ლელაშვილი მუშაობდა საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორად, საიდანაც დაწინაურებულ იქნა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის აპარატში, — ჯერ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას ინსტრუქტორად, ხოლო 1953 წლის ოქტომბრიდან ამავე განყოფილების პარტიული პროპაგანდის სექტორის გამგედ.

შ. გ. ლელაშვილი 1938 წელს შეიდა საკავშირო ალკკ რიგებში, 1944 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ოგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და ოთხი მედლით.

შ. გ. ლელაშვილი იყო პრინციპული, ენერგიული და ინიციატივიანი პარტიული მუშაკი, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი.

შ. გ. ლელაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

დ. გულიას საიუბილეო საღამო

დღეს, სამშაბათს, 9 მარტს თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიმართება აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ს. ჯილაია. მოხსენებას თემაზე — აფხაზეთის სახალხო პოეტი დ. გულია — გააკეთებს კრიტიკოსი ბ. ყიღენტი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მკითხველები.

დასასრულ გაიმართება კონცერტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკიტა სიმონის-ძე რეიფოი დანიშნა სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ნ. კოსიგინი გაათავისუფლა სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრის მოვალეობისაგან.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია იუწყება, რომ 9 მარტიდან ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა ყოველდღე ღია იქნება მნახველთათვის.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და კვირაობით დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე

აფხაზეთის სახალხო პოეტი

თვალწარმტაცად გადაჭიმულა აფხაზეთი შავი ზღვის ნაპირზე, შეფენილა ტყიან მთებზე, მიუღწევია თოვლიანი მწვერვალებისათვის, ულამაზეს ხეობებში გაუშლია თავისი ბაღები და ვენახები. შრომისმოყვარე და ნიჭიერი არიან მისი მცხოვრებნი. საბჭოთა ხელისუფლების დროს აფხაზეთში აღარ დარჩა მიყრუებული კუთხეები, მივიწყებული ადგილები. აყვავდნენ მისი ქალაქები, ვეღარ იცნობ სოხუმს.

აფხაზეთში დაიბადა ახალი სიმღერები, გაჩნდნენ ახალი პოეტები და მწერლები. მაგრამ ისინი ყველანი იტყვიან, რომ აფხაზეთის საუკეთესო პოეტია დიმიტრი იოსების-ძე გულია, რომელიც ახლა თავისი დაბადების 80 წლისთავს იხდის. იგი ქალაქ სოხუმში ცხოვრობს, ხოლო კოდორთან ჯერ კიდევ შეიძლება მონახოთ მამამისის — ურის გულიას სახლის ნაშთები, სახლისა, სადაც დაიბადა პოეტი. იქ ნახავთ გაველურებულ ვაშლისხეებსა და ბუჩქებს, გლეხის ძველ ნასახლარზე რომ გაზრდილან.

დიმიტრი გულია უაღრესად თავისებური და განსაცვიფრებელი ტალანტია. აფხაზური ლიტერატურისა და აფხაზური სალიტერატურო ენის ფუძემდებელი, იგი ამ მხარეში პირველი თეატრალური ჯგუფის დამაარსებელიც იყო. ბევრი შრომა გასწია რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურის თარგმანებზე. იგი ცნობილია როგორც აფხაზური ხალხური შემოქმედების სიმდიდრეთა შემკრებიც.

რევოლუციამდე ბევრად ადრე დიმიტრი გულიამ დაწერა თავისი ლექსების პირველი კრებული, რომელშიც ბევრი მშვენიერი სტროფონი მიუძღვნა მშობლიურ ხალხს და ჩინოსანი მტაცებელი ფეოდალების მხილებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მან, ბევრი პიესის, ნოველისა და ლექსის გარდა, შექმნა დიდი რეალისტური რომანი „კამაჭიჭი“, სადაც ცხოვრების დიდი ცოდნით დაგვიხატა ტრაგიკული ბედი აფხაზი ქალისა, რომელიც წარსულში ყოველთაო ჩაგვრას განიცდიდა. ეს ქალი, რომელიც თავისი დაღუპული ცხოვრებისათვის შურისძიებელი გახდა, სიმტკიცითა და ნებისყოფის ძლიერებით თითქოს წინამორბედია დღევანდელი აფხაზეთის შესანიშნავი ქალიშვილებისა — შრომის გმირებისა, საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ადამიანებისა.

დიდი სამამულო ომის წლებში დიმიტრი გულია წერდა პოემებსა და ლექსებს სახალხო გმირებზე, რომლებიც ჩვენს სამშობლოს იცავდნენ მტრისაგან. მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც არ ცხრება სახალხო პოეტის ხმა. 1952 და 1953 წლებში შექმნილი მისი ლექსები მაღალი პათოსით არის გამსჭვალული. იგი უმღერის ჩვენი ქვეყნის მიღწევებს, მას ახარებს ქვეყნის შრომითი გამარჯვებები, საბჭოთა ხალხის ბედნიერება, ახარებს მეგობარი-მთიელი, რომელმაც დიდი ხანია დაივიწყა გვართა მოსისხლეობა, ახარებენ აფხაზეთში ორიდან ჩამოსული სტუმრები, შვილიშვილი, რომელიც მტრედს დასდევნებია, ახალი პარკის შექმნა მშობლიურ სოხუმში...

და გგონია, რომ მდიდარი, დაუშრეტლად ნაყოფიერი აფხაზეთის მიწა აძლევს თავის პოეტს სულ ახალ და ახალ ძალებს მისდამი სიყვარულისათვის, მშობლიური ხალხის სასარგებლოდ შრომისათვის მადლობის ნიშნად, და პოეტი სულ უფრო და უფრო აფართოებს თავის თემატიკას, მისი ლექსები საბჭოთა კავშირის ყველაზე შორეულ კუთხეებს აღწევს. იგი მღელვარე სიტყვებს პოულობს თავისი ღრმა აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად:

> უფრო სრულყოფილს რას შევდარო
> პარტია — დიდი ცხოვრების წყარო,
> რომ მისი შუქი არ ადგეს სვეტად,
> გაიფდებოდა ჩვენი პლანეტა.

იგი ცოცხალი და პოეტური მოწმეა ბევრი ისტორიული ამბისა, რომლებიც საკუთარი თვალით უნახავს და რომლებსაც ახალი თაობანი მხოლოდ წიგნებიდან შეიტყობენ. და მშობლიური ხალხის ბედნიერება დღეს საუკეთესო ჯილდოა მისთვის — სახალხო პოეტის, ხალხის დამხმარისა და დამრიგებლისათვის, ჯილდოა მისი ხანგრძლივი ნაყოფიერი შრომისათვის, მისი აღფრთოვანებული სიმღერებისათვის, რომლებშიც თვით ხალხის გულისცემა ისმის.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

9 მარტს	ჯ. ვერდი — ტრავიატა
10 მარტს	პ. ჩაიკოვსკი — პიკის ქალი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 20 მარტს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვაჟა ალექსანდრეს-ძე გვახარია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ასურული და ურარტული იდეოგრამებისა და დეტერმინატივების ურთიერთობისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი ი. მეშჩანინოვი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ქ. წერეთელი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **შოთა ოსების-ძე ტუხაშვილმა**, მცხოვრებმა სიღნაღის რაიონი, სოფელ ბოდბისხევში, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ფიროსმანის ქ. № 28 მცხოვრებ მოქალაქე **ქეთო ილიას ასულ ჯანაშიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

ბიძა მიხეილ, ბიცოლა თამარ, მამიდა მარო, ბებია